განახლებულია 01.05.2026 წ.

| | |
|---|---|
| **საგანმანათლებლო დაწესებულების დასახელება** | **საჯარო სამართლის იურიდიული პირი - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი** |
| **საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება** | **ბიზნესის ადმინისტრირება/Business Administration** |
| **მისანიჭებელი კვალიფიკაცია** | **პირველი ნაწილი:** ბიზნესის ადმინისტრირების მაგისტრი/Master of Business Administration<br>**მეორე ნაწილი:** კვლევის მაგისტრი ბიზნესის ადმინისტრირებაში/Research Master in Business Administration |
| **პროგრამის ხელმძღვანელ(ებ)ი** | რეზო მანველიძე, პროფესორი - manvelidze.revaz@bsu.edu.ge |
| **პროგრამის სტრუქტურა/ECTS-მოცულობა,<br>სასწავლო გეგმა (იხ. დანართი №1)** | **პირველი ნაწილი** - 60 ECTS<br>**მეორე ნაწილი** - 60 ECTS |
| **სწავლების ენა** | ქართული ენა |
| **საგანმანათლებლო პროგრამაზე დაშვების წინაპირობა** | **პირველი ნაწილი:**<br>✓ საერთო სამაგისტრო გამოცდა;<br>✓ შიდა საუნივერსიტეტო გამოცდები: ინგლისური ენა - B2 დონე და სპეციალობა;<br>✓ მობილობის წესით ჩარიცხვა;<br>✓ ერთიანი ეროვნული გამოცდების გარეშე, კანონმდებლობით დადგენილი წესით.<br>**მეორე ნაწილი:**<br>✓ პროგრამის პირველი ნაწილი;<br>✓ მობილობის წესით ჩარიცხვა. |
| **საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი** | **პირველი ნაწილი:**<br>✓ შესძინოს სტუდენტს ღრმა და სისტემური თეორიული ცოდნა, რომლის საფუძველზეც შეძლებს კონკურენტულ გარემოში ბიზნესის მართვასთან დაკავშირებული კონცეფციების, თეორიების, მიდგომების და მოდელების გამოყენებას სტრატეგიების განსაზღვრისათვის.<br>✓ გამოუმუშავოს ბიზნეს საქმიანობის ანალიზის, შეფასების, პრობლემის იდენტიფიცირების და მათი აღმოფხვრის ღონისძიებათა დაგეგმვის უნარი.<br>✓ გამოუმუშავოს ბიზნესის ძირითად სფეროებში (მეწარმეობა და ინოვაციები, ადამიანური რესურსები, ოპერაციები, საქონლისა და მომსახურების ბაზრები, მარკეტინგი და სხვა) სტრატეგიული მიმართულებების ჩამოყალიბებისა და ბიზნეს პროცესების ეფექტიანად განხორციელების უნარები. |

| | |
|---|---|
| | ✓ განუმტკიცოს კრიტიკული აზროვნების, არგუმენტირების, საკუთარი პროფესიული კომპეტენციების შეფასების, ცოდნის დამოუკიდებლად მუდმივი განახლების და საკუთარი საქმიანობის ეთიკის პრინციპების დაცვით განხორციელების უნარი.<br>**მეორე ნაწილი:**<br>✓ შესძინოს სტუდენტს ღრმა და სისტემური თეორიული ცოდნა ბიზნესის ადმინისტრირებისა და თანამედროვე სამეცნიერო კვლევის მეთოდოლოგიების შესახებ, რომლის საფუძველზეც შეძლებს კონკურენტულ გარემოში ბიზნესის მართვასთან დაკავშირებული კონცეფციების, თეორიების, მიდგომების და მოდელების გამოყენებას სტრატეგიების განსაზღვრისათვის.<br>✓ გამოუმუშავოს კვლევითი მონაცემების საფუძველზე ბიზნეს საქმიანობის ანალიზის, შეფასების, პრობლემის იდენტიფიცირების და მათი აღმოფხვრის ღონისძიებათა დაგეგმვის უნარი.<br>✓ გამოუმუშავოს ბიზნესის ძირითად სფეროებში მეცნიერულად დასაბუთებული სტრატეგიული მიმართულებების ჩამოყალიბებისა და ბიზნეს პროცესების ეფექტიანად განხორციელების უნარები.<br>✓ განუმტკიცოს კრიტიკული აზროვნების, სამეცნიერო კვლევის დამოუკიდებლად დაგეგმვისა და განხორციელების, მისი შედეგების არგუმენტირების, საკუთარი პროფესიული კომპეტენციების შეფასების, ცოდნის დამოუკიდებლად მუდმივი განახლების და საკუთარი საქმიანობის ეთიკის პრინციპების დაცვით განხორციელების უნარი. |
| **სწავლის შედეგები** | **პირველი ნაწილი:**<br>✓ სიღრმისეული და სისტემური ცოდნით აღწერს ბიზნესის მართვის სფეროსთან დაკავშირებულ თანამედროვე კონცეფციებს, თეორიებს, უახლოეს მიდგომებსა და ფუნდამენტურ პრინციპებს, ინოვაციურ მიღწევებს.<br>✓ გამოავლენს ცვალებად და კონკურენტულ გარემოში ბიზნესზე მოქმედ ფაქტორებს, ტენდენციებს, ლიდერობის საკვანძო საკითხებს და თანამედროვე ციფრული ტექნოლოგიების გამოყენებით კომპანიის რესურსების ეფექტიანად მართვის შესაძლებლობებს.<br>✓ კომპლექსურად აანალიზებს ბიზნესის მართვის სფეროში არსებულ თანამედროვე ტენდენციებს; არგუმენტირებულად მსჯელობს ინოვაციური განვითარების სტრატეგიაზე და ღებულობს გადაწყვეტილებას მათ განხორციელებაზე.<br>✓ აანალიზებს ბიზნეს–სუბიექტების ფუნქციურ სფეროებში წამოჭრილ პრობლემებს და უწყვეტი განვითარების, რისკების, ფინანსური ანალიზის, დანახარჯებისა და სარგებლის გათვალისწინებით წარმართავს ბიზნეს–პროცესებს.<br>✓ შეიმუშავებს ბიზნეს-პროექტებს, სამოქმედო გეგმებს, საწარმოო რესურსების ეფექტიანად მართვის მიმართულებებს. |

| | |
|---|---|
| | ✓ ბიზნესის სოციალური პასუხისმგებლობის ფარგლებში, ეთიკური სტანდარტების დაცვით იღებს გადაწყვეტილებას კომპანიის შემდგომი განვითარების შესახებ.<br>✓ საჭიროების შემთხვევაში ახალი ღირებულებების ფორმირებაში შეუძლია საკუთარი წვლილის შეტანა; იზიარებს პროფესიულ და პარტნიორულ პასუხისმგებლობას, იცავს ეთიკურ ნორმებს.<br>**მეორე ნაწილი:**<br>✓ სიღრმისეული და სისტემური ცოდნით აღწერს ბიზნესის მართვის სფეროსთან დაკავშირებულ თანამედროვე მიდგომებსა და ფუნდამენტურ პრინციპებს, ინოვაციურ მიღწევებსა და საკუთარი სფეროს მეცნიერული კვლევის უახლეს შედეგებს.<br>✓ გამოავლენს ცვალებად და კონკურენტულ გარემოში ბიზნესზე მოქმედ ფაქტორებს, ტენდენციებს და თანამედროვე ციფრული ტექნოლოგიების გამოყენებით, ანალიტიკურ მეთოდებზე დაყრდნობით, კომპანიის რესურსების ეფექტიანად მართვის შესაძლებლობებს.<br>✓ კომპლექსურად აანალიზებს ბიზნესის მართვის სფეროში არსებულ თანამედროვე ტენდენციებს; სამეცნიერო კვლევის ანალიზის მეთოდების გამოყენებით არგუმენტირებულად მსჯელობს ინოვაციური განვითარების სტრატეგიაზე და ღებულობს გადაწყვეტილებას მათ განხორციელებაზე.<br>✓ აანალიზებს ბიზნეს–სუბიექტების ფუნქციურ სფეროებში წამოჭრილ პრობლემებს და კვლევაზე დაფუძნებული უწყვეტი განვითარების, რისკების, ფინანსური ანალიზის, დანახარჯებისა და სარგებლის გათვალისწინებით წარმართავს ბიზნეს–პროცესებს.<br>✓ აკადემიური სტანდარტების შესაბამისად შეიმუშავებს ბიზნეს-პროექტებს, სამოქმედო გეგმებსა და საწარმოო რესურსების ეფექტიანად მართვის მიმართულებებს. |